Post COMCOM

From: Ucha Seturi <useturi@gmail.com>
Sent: 20 February 2021 13:13
To: Post COMCOM; Ekaterine Chakhrakia; Mzia Gogilashvili
Subject: Fwd: რეგლამენტი

ეკა გამარჯობა, გიგზავნით ჩვენ მოსაზრებებს. სამწუხაროდ დორის სიმცირის გამო ყველასთან გავლა ვერ მოავსწარით და დამათებით შემოსულ მოსაზრებებს მოგაწვდით ცოტათი მოგვიანებით.

1. გთავაზობთ რომ რეგლამენტი მაინც დავუახლოვოთ ევროპის ჩარჩო დირექტიივს განმარტებებს. შევეხებით ტერმინს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების" განმარტება. წარმოდგენილი რედაქციით (მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტით **ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება** ეს არის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ადგილობრივი, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო, მობილური საკომუნიკაციო კავშირით, ინტერნეტით და მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება, იმ დორს როდესაც ჩარჩო დირექტივა გვთავაზობს მე-2 მულხის c)პუნქტის მიხედვით შემოთავაზებულია განსხვავებული უფრო ზოგადი და ამავდროულად ამომწურავი განმარტება (electronic communications services are services provided by means of electronic signals over, for example, telecommunications or broadcasting networks.) ეს ტერმინი არ მოიცავს და ეს გამონაკლისები უნდა ავსახოთ რეგლამენტშიც ანუ ეს სერვისები არ მოიცავს: services controlling editorial content და information society services which do not involve the transmission of signals. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002L0021&from=en

2.. მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის **ვ) ქვე პუნქტით მომსახურების მიმწოდებელი** უნდა ჩამოყალიბდეს შმედეგი რედაქციით: ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი **ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან დაშვებული ავტორიზებული პირი,** რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ამ ელემენტებით ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას; მიგვაჩნია რომ ქსელის ოპერატორი ა რესურსებით ეწეოდა მომსახურებას მნიშვნელობა არ აქვს - მთავარია რომ ოპერირებდეს საცალო ბაზარზე;

3. .მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის **ი) ქვე პუნქტით მოხმარებელი** გთავაზობთ 21 დირექტივის რედაქციას:'end-user' means a user not providing public communications networks or publicly available electronic communications services (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002L0021&from=en) ეს ტერმინი ასევე გამოიყენება ტერმინაციის წერტილის განმარტებისას და მიზანშეწონილია იდენტურად განიმარტოს.

4. ტერმინებში **წ) გაფრთხილება-ს** – სიმბოლო, სიმბოლოები ან თანდართული გამაფრთხილებელი ტექსტი სპეციფიკური ხასიათის მასალების შესახებ; დავამატოთ "ხმოვანი შეტყობინება"შშმპ პირების ადაპტირებისთვის;

5. .მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის ხ) განმარტავს დაუშვებელი პროდუქციას – ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

ინტერნეტში ეს პროდუქცია "დაუშვებელი" არაა და ეს ჩანაწერი წინააღმდეგობიაში საქართველოს კანონთან "სიტყვისა და გამოხავის თავისუფლების შესახებ" და საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე

მ-21-6/785
22.02.2021
3- ფურცელი

საკონსტუტუციო სასამართოს გადაწყვეტილებებთან . მაგალთად პირადი ცხოვრების შემლახველი პროდუქცია სსკ-ის 157-ე მუხლით დანაშაულია და აკრზალული პროდუქციის კატეგორიაა (მუხლი 157. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა). თავის მხრივ ცისლისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უზუსტო ინფორმაცია ასევე რეგულირდება ცალკე კანონმდებლობით და მისი ამ რეგლამენტში გაწერის აზრი არ ჩანს. იგივე შეეხება პორნოგრაფიას ნაწილს სადა აკრძალულ კეტეგორიას მიეკთვნება არასწრულწლოვნების არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი კონტენტი.

გთავაზობთ რომ ამოვიღოთ ეს მოძველებული ჩანაწერი რეგლამენტიდან.

6. მუხლი 8$_5$. მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადა, პირობების შეცვლა და შეწყვეტა შემთავაზებულია "საგანთა ინტერნეტი" და რატომ არა ნივთების ინტერნეტი რომელიც უფრო გამომხატველობითია და შინაარსთან უფრო ახლოა ტერმინის და სასურველია ტერმინთა განმარტებაში ორივე ტერმინის განმარტება შევიტანოთ და განვმართოთ.

7. მუხლი 8$_5$. (მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადა, პირობების შეცვლა და შეწყვეტა) ეს ვადები მოუქნელია და გვაიზლუბს რომ დავასაბუთოთ რომ აბონენტს შევთავაზეთ ეს პირობები. რითია ესეთი დაყტოფა განპირობებული? (1. მომსახურების ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მომხმარებელთან განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა არ აღემატებოდეს 24 თვეს. ამასთანავე, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია შესთავაზოს მომხმარებელს ხელშეკრულების დადება 12 თვის ვადით და მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, დადოს მასთან ხელშეკრულება ამ ვადით. ხელშეკრულების 24 თვიან და 12 თვიან ვადასთან დაკავშირებით ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება M2M/IoT (მოწყობილობებს შორის კავშირი/საგანთა ინტერნეტი) მომსახურებაზე, ინსტალაციის საფასურის განვადებით გადახდის შეთანხმებაზე და ასევე, მომხმარებელთან ინდივიდუალური პირობებით დადებულ ხელშეკრულებაზე, მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში.)

8. 10$_1$ მუხლის მე-8 პუნქტში („8. ინტერნეტთამაშები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. ინტერნეტთამაშების მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ...) ვინ მოიაზრება ამ სუბიექტის ქვეში?

9. ცვლილებები შეეხება ,,მუხლი 18$_1$. (მომსახურების ხელმისაწვდომობა და დაზიანების აღმოფხვრის ვადები) კერძოდ მე-2 და მე-5 პუნქტები სამწუხაროდ ისევც არ ითვალისწინებს მიკრო და მცირე ბიზნესის სპეციფიკას, გამოწვევებს და ევროპის ქვეყნების პრაქტიკას იმ შეავათების კთხით რაც დადგენილია მიკრო და მვცირე ბიზნესისთვის და ადგენს იდენტურ პირობებს იმ კომპანიებისთვის ვისაც აქვს მილიონიანი ბრუნვები და 100 000-იანი ბრუნვები ან საერთოდ ახალი შემოსულია ბაზარზე. გთავაზობთ რომ სამთავრობო სტრატეგიის გათვალსიწირნბით (http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf) შემოვიღოთ საგამონაკლისო ბონრმები ამ სექტორისთვის.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით მომხმარებლების უფლებების გარდა, აუცილებელია რომ დაშვების მომსახურების მმწოდებელმა ოპერატრომა, ასევე გასააჯაროვოს არამხოლოდ თავისი ასევე დაშვებული ოპერატროსთვის მიწოდებული სერვისის დაზინებების სტატისტიკა და მისი აღმოფხვრის ვადები.

ამ ეტაპისთვის მხოლოდ ეს მოვასწარით ტექსტში ლურჯად წარმოდგენილი ცვლილებებიდან, შევეცდებით უფრო დეტალურად კიდევ ერთხელ გავეცნოთ და დამატებით შემოგეხმიანოთ.

მადლობა!

Ucha Seturi
უჩა სეთური

Chair, "**Telecom Operator's Association of Georgia**"
გამგეობის თავმჯდომარე "საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია"

Address: 3, Ak. Khorava Street, Tbilisi, 0179, Georgia.
Contact: useturi@gmail.com useturi@toa.ge | +995 577 773733 |

Web: toa.ge